

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-ივნისი

2019 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5 968.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 0.6 პროცენტით ნაკლებია.

- ექსპორტი გაიზარდა 11.5%-ით და 1 775.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;
- იმპორტი შემცირდა 4.9%-ით და 4 192.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2019 წლის იანვარ-ივნისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით შემცირდა, 2 417.4 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტი შეადგინა (2018/6 – 47%).

ამასთან, 2019 წლის იანვარ - ივნისში იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის ზრდის ტემპის შესაბამისად, ექსპორტის წილი ბრუნვაში 4.2%-ით გაიზარდა და 29.7%-ით განისაზღვრა (2018/6 25.5%).

წმინდა ექსპორტი (რე-ექსპორტის გარეშე) - წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.8 პროცენტით გაიზარდა, 1 123.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2012/6-2019/6 წლებში

| წლები | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019/6 |
|-----------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|-----------------|-----------------|
| ბრუნვა | 10 433 | 10 933 | 11 463 | 9 505 | 9 408 | 10 675 | 12 476.3 | 5 968.3 |
| ზრდის ტემპი (%) | 13% | 5% | 5% | -17% | -1% | 14% | 17% | -0.6% |
| ექსპორტი | 2 377 | 2 910 | 2 861 | 2 205 | 2 113 | 2 736 | 3 354.9 | 1 775.4 |
| ზრდის ტემპი (%) | 9% | 22% | -2% | -23% | -4% | 29% | 22.9% | 11.5% |
| წილი ბრუნვაში | 22.8% | 26.6% | 25% | 23.2% | 22.5% | 25.6% | 26% | 29.7% |
| იმპორტი | 8 056 | 8 023 | 8 602 | 7 300 | 7 295 | 7 939 | 9 121.4 | 4 192.9 |
| ზრდის ტემპი (%) | 14% | -0.2% | 7% | -15% | -0.1% | 8.8% | 15% | -4.9% |
| წილი ბრუნვაში | 77.2% | 73.4% | 75% | 76.8% | 77.5% | 74.4% | 73% | 70.3% |
| სალდო | -5 679 | -5 113 | -5 741 | -5 095 | -5 182 | -5 204 | 5 766.4 | -2 417.4 |

საქართველო-ევროკავშირი

სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 4.6%-ით, 1 511.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 25.3% დაიკავა.

- ექსპორტი - 426.9 მლნ. აშშ დოლარი, 16.1%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 24%;
- იმპორტი - 1 084.9 მლნ. აშშ დოლარი, 10.8%-ით ნაკლები და საქართველოს იმპორტის 25.9%.

2019 წლის იანვარ-ივნისში ევროკავშირში **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** ექსპორტი 37%-ით (27.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები) შემცირდა და **48.6** მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი გაიზარდა 30%-ით (87.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და **378.3** მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

მცენარეული ცხიმები და ზეთები - ექსპორტი **0,68** მლნ. აშშ დოლარი (103%-ით და 0,34 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი (91%), ნიდერლანდი (9%);
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი (141%);
- ექსპორტი შემცირდა: ნიდერლანდში (11%).

ღვინო - ექსპორტი 9.4 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და **0.3** მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი (43%), ლატვია (19%), გერმანია (11%), ესტონეთი (9%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი (11%), ლიეტუვა (35%);
- ექსპორტი შემცირდა: ლატვიაში (13%).

ახალი ან შეყინული ბოსტნეული (მწვანელი) - ექსპორტი **0,82** მლნ. აშშ დოლარი (49%-ით და 0,27 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი (56%), ლატვია (26%), საბერძნეთი (11%), ბულგარეთი (11%);
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: რუმინეთი (42%), ლატვია (120%), საბერძნეთი (72%);
- ექსპორტი შემცირდა: პოლონეთში (86%).

გამხმარი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 1.1 მლნ. აშშ დოლარი (26%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (75%), ჩეხეთი (10%), საფრანგეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანია (31%), საფრანგეთი (7-ჯერ).
- ექსპორტი შემცირდა: საფრანგეთი (58%).

სამრეწველო პროდუქცია:

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 261.9 მლნ. აშშ დოლარი (72%-ით და 110.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (54%), რუმინეთი (40%), ესპანეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბულგარეთი (16%), რუმინეთი (4-ჯერ), ესპანეთი (156%).

ქალის მზა ტანსაცმელი (პალტოები, ლაბადები) - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და 3.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (86%), გერმანია (13%);
- ექსპორტი გაიზარდა: იტალიაში (4-ჯერ).

მინის ტევადობები - ექსპორტი 3.9 მლნ. აშშ დოლარი (122%-ით და 2.2 მლნ აშშ დოლარით მეტი) სრული ექსპორტი განხორციელდა საფრანგეთში.

აირის ტურბინები - ექსპორტი (რე-ექსპორტი) 5.0 მლნ. აშშ დოლარი (175%-ით და 3.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 95% დაიკავა.

- ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა გერმანიაში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).
- ექსპორტი შემცირდა: ჩეხეთში (1.8 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი (რე-ექსპორტი) 7.1 მლნ. აშშ დოლარი (71%-ით და 2.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია (54%), ჩეხეთი (12%), ბულგარეთი (9%), ნიდერლანდები (8%), სლოვენია (7%);
- ექსპორტი გაიზარდა: ბელგიაში (46%), ჩეხეთში (8-ჯერ), ნიდერლანდებში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), ბულგარეთში (110%);
- ექსპორტი შემცირდა: გაერთიანებული სამეფო (93%).

რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები - ექსპორტი 14.7 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 1.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 77% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები (40%), გერმანია (21%), ესტონეთი (12%), გაერთიანებული სამეფო (12%), ბელგია (10%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ესტონეთი (1.7 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), გაერთიანებულ სამეფო (1.7 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), გერმანია (85%);
- ექსპორტი შემცირდა: ბელგიაში (59%), ნიდერლანდებში (22%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები - ექსპორტი 9.5 მლნ. აშშ დოლარი (62% და 15.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 80% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი (35%), ნიდერლანდები (29%), გაერთიანებული სამეფო (13%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: საფრანგეთი (75%), ნიდერლანდები (24%), ესპანეთი (97%);
- ექსპორტი გაიზარდა: ლატვიაში (856%).

თხილი - ექსპორტი 8.2 მლნ. აშშ დოლარი (54%-ით და 9.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (26%), იტალია (21%), ლიეტუვა (14%), ესპანეთი (13%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: იტალია (77%), ჩეხეთი (50%).
- ექსპორტი გაიზარდა: გერმანია (12%).

ხილის ჯემები - ექსპორტი 1.9 მლნ. აშშ დოლარი (47%-ით და 1.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზარი: გერმანია (50%), ბელგია (41%), ავსტრია (8%).
- ექსპორტი შემცირდა: ავსტრია (91%), გერმანია (26%);
- ექსპორტი გაიზარდა: ბელგია (73%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 2.0 მლნ. აშშ დოლარი (34%-ით და 1.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (46%), ჩეხეთი (10%), სლოვაკეთი (9%), ავსტრია (9%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ავსტრია (81%), იტალია (78%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანია (24%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 8.3 მლნ. აშშ დოლარი (4%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზარი: ლიეტუვა (97%);
- ექსპორტი შემცირდა: ლიეტუვაში (5%).

სამრეწველო პროდუქცია:

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 3.7 მლნ. აშშ დოლარი (84%-ით და 19.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 1% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გაერთიანებული სამეფო (75%), იტალია (24%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: მალტა (12.6 მლნ. აშშ დოლარით, ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა) და საფრანგეთი (9.8 მლნ. აშშ დოლარით, ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა);
- ექსპორტი გაიზარდა: გაერთიანებული სამეფო (10-ჯერ).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 14.9 მლნ. აშშ დოლარი (49%-ით და 14.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი (26%), ბულგარეთი (26%), გაერთიანებული სამეფო (16%), ესპანეთი (15%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ლიეტუვა (15.3 მლნ. აშშ დოლარით, ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა), ესტონეთი (2.6 მლნ. აშშ დოლარით, ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა), იტალია (52%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუმინეთი (137%), გაერთიანებული სამეფო (213%), საბერძნეთი (114%), ბულგარეთი (9%).

შავი ლითონის მიწები - ექსპორტი 2.2 მლნ. აშშ დოლარი (35% და 1.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (63%), იტალია (29%);
- ექსპორტი შემცირდა: იტალიაში (60%);
- ექსპორტი გაიზარდა: ბულგარეთი (57%).

იმპორტი

ევროკავშირიდან **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** იმპორტმა 2019 წლის იანვარ-ივნისში 129.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 13%-ით და 18.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტმა შეადგინა 955.3 მლნ. აშშ დოლარი, 11%-ით და 113.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

იმპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

სპირტი - იმპორტი 1.0 მლნ. აშშ დოლარი (87%-ით და 6.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდი (49%), გაერთიანებული სამეფო (49%);
- იმპორტი შემცირდა: გაერთიანებული სამეფო (88%).

შაქარი - იმპორტი **8.9** მლნ. აშშ დოლარი (41%-ით და **6.2** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: პოლონეთი (77%), საფრანგეთი (16%);
- იმპორტი შემცირდა: პოლონეთიდან (30%).

რძე და ნაღები შაქრის დამატებით - იმპორტი **3.2** მლნ. აშშ დოლარი (36%-ით და **1.7** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (36%), ნიდერლანდები (29%), საფრანგეთი (26%);
- იმპორტი შემცირდა: ნიდერლანდებიდან (50%), ლიეტუვა (75%).

საკვები ინგრედიენტები - იმპორტი **9.6** მლნ. აშშ დოლარი (11%-ით და **1.2** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (20%), იტალია (13%), პოლონეთი (12%);
- იმპორტი შემცირდა: იტალიიდან (30%), პოლონეთიდან (31%), გერმანიიდან (12%).

ფრინველის ხორცი - იმპორტი **9.2** მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და **1.6** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდები (25%), გერმანია (24%), საფრანგეთი (14%), გაერთიანებული სამეფო (13%);
- იმპორტი შემცირდა: ბელგიიდან (75%), ნიდერლანდებიდან (28%).

სამრეწველო პროდუქცია

ტურბორეაქტიული ძრავები - იმპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა (შემცირდა ნიდერლანდებიდან 44.0 მლნ. აშშ დოლარით).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი **129.0** მლნ. აშშ დოლარი (18%-ით და **28.0** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუმინეთი (61%), ბულგარეთი (21%), საბერძნეთი (13%), გერმანია (2%);
- იმპორტი შემცირდა: საბერძნეთიდან (40%), რუმინეთიდან (10%).

საქონელი ატრაქციონებისათვის - იმპორტი **2.8** მლნ. აშშ დოლარი (84%-ით და **14.8** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბულგარეთი (60%), გაერთიანებული სამეფო (8%), გერმანია (7%), ლატვია (7%);

- იმპორტი შემცირდა: ბულგარეთიდან (85%);

მოწყობილობები წიაღისეულის დაქუცმაცებისათვის - 2.2 მლნ. აშშ დოლარი (81%-ით და 9.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია: გერმანია (75%), საფრანგეთი (6%), გაერთიანებული სამეფო (6%);
- იმპორტი შემცირდა: გერმანია (76%), ესპანეთი (95%).

იმპორტის ზრდა დაფიქსირდა:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ცოცხალი თხები და ცხვრები - იმპორტი 1.2 მლნ. აშშ დოლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა);

- იმპორტი განხორციელდა რუმინეთიდან.

თამბაქოს სამრეწველო შემცველები - იმპორტი 1.4 მლნ. აშშ დოლარი (133%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია (66%), შვედეთი (13%), პოლონეთი (10%);
- იმპორტი გაიზარდა: ბელგიიდან (83%), შვედეთიდან (0.17 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

შოკოლადის ნაწარმი - იმპორტი 4.6 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და 0.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია (37%), იტალია (19%), გერმანია (15%);
- იმპორტი გაიზარდა: ბელგიიდან (12%), პოლონეთი (105%).

სამრეწველო პროდუქცია

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 63.9 მლნ. აშშ დოლარი (97%-ით და 31.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (37%), გაერთიანებული სამეფო (31%), ბელგია (17%).
- იმპორტი გაიზარდა: გაერთიანებული სამეფო (4-ჯერ), ბელგიიდან (16-ჯერ).

საბურღი მანქანა დანადგარები - იმპორტი 24.2 მლნ. აშშ დოლარი (12-ჯერ და 22.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (91%), ფინეთი (6%), იტალია (2%);

- იმპორტი გაიზარდა: გერმანიიდან (22.1 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

მიკროავტობუსები - იმპორტი 10.2 მლნ. აშშ დოლარი (7-ჯერ და 8.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: პოლონეთიდან (83%), გერმანიიდან (9%), ესპანეთიდან (4%);
- იმპორტი გაიზარდა: პოლონეთიდან (8.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 0.1 მლნ. აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა).

საქართველო-დსთ

სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 0.5%-ით, 2 032.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 41% დაიკავა.

- ექსპორტი - 916.2 მლნ. აშშ დოლარი, 27.1%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 51.6%;
- იმპორტი - 1 116.7 მლნ. აშშ დოლარი, 15.6%-ით ნაკლებია და საქართველოს იმპორტის 26.6%.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი შემცირდა 0.4%-ით და 270.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 44%-ით და 645.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტის ზრდა განხორციელდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ღვინო - ექსპორტმა შეადგინა 75.6 მლნ. აშშ დოლარი (11%-ით და 7.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (78%), უკრაინა (12%), ყაზახეთი (5%), ბელარუსი (3%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (11%), უკრაინა (8%), ბელარუსი (59%).
- ექსპორტი შემცირდა ყაზახეთში (0.1%).

მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა 55.7 მლნ. აშშ დოლარი (27%-ით და 11.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (55%), უკრაინა (21%), ყაზახეთი (10%), ბელარუსი (8%), უზბეკეთი (3%) ;

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთში (25%), უკრაინაში (32%), ყაზახეთი (34%), უზბეკეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა ბელარუსში (11%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტმა 33.5 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რე-ექსპორტი 13.4%) შეადგინა (12%-ით და 3.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (42%), უკრაინა (41%), სომხეთი (8%), ბელარუსი (8%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (56%), ბელარუსი (39%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: უკრაინა (6%), სომხეთი (10%).

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 12.4 მლნ. აშშ დოლარი (5%-ით და 0.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (45%), აზერბაიჯანი (27%), სომხეთი (12%) ,
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: სომხეთი (62%), რუსეთი (37%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (32%).

ახალი კურკოვანი ხილი - ექსპორტმა შეადგინა 5.7 მლნ. აშშ დოლარი (2-ჯერ და 3.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (91%), სომხეთი (3%);
- ექსპორტი გაიზარდა რუსეთში 2-ჯერ.

სანელებლები - ექსპორტმა შეადგინა 3.6 მლნ. აშშ დოლარი (13%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (69%), უკრაინა (22%)
- ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (38%);
- ექსპორტი შემცირდა უკრაინაში (18%).

სამრეწველო პროდუქცია

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) შეადგინა 213.9 მლნ. აშშ დოლარი (48% და 68.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (44%), სომხეთი (30%), უკრაინა (15%), ყირგიზეთი (7%), რუსეთი (2%)ლ
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (37%), სომხეთი (44%), უკრაინა (22%).

- ექსპორტი შემცირდა რუსეთში (22%).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა 102.5 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რე-ექსპორტი 96%) შეადგინა (69%-ით და 41.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: უზბეკეთი (35%), აზერბაიჯანი (15%), რუსეთი (11%), უკრაინა (11%), ყირგიზეთი (10%), ბელარუსი (3%);
- ექსპორტი გაიზარდა: უკრაინაში (6-ჯერ), ყირგიზეთში (134%), უზბეკეთში (79%),
- ექსპორტი შემცირდა ბელარუსში (20%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტმა შეადგინა 33.1 მლნ. აშშ დოლარი (2-ჯერ და 20.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: უკრაინა (79%), აზერბაიჯანი (12%), სომხეთი (9%);
- ექსპორტი გაიზარდა: უკრაინაში (3-ჯერ), აზერბაიჯანში (4-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა სომხეთში 39%-ით.

ფეროშენადნობები - ექსპორტმა შეადგინა 82.2 მლნ. აშშ დოლარი (2-13%-ით და 9.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (94%), ყაზახეთი (3%), აზერბაიჯანი (2%);
- ექსპორტი გაიზარდა: ყაზახეთში (14-ჯერ), რუსეთში (13%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში 49%-ით.

სატვირთო ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) შეადგინა 16.2 მლნ. აშშ დოლარი (36% და 4.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (69%), სომხეთი (29%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (129%), სომხეთი (31%).

ციანიდები და ოქსიციანიდები - ექსპორტმა შეადგინა 5.4 მლნ. აშშ დოლარი (36% და 1.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (51%), სომხეთი (49%);
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (21%), აზერბაიჯანში (83%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

თამბაქოს მზა ნაწარმი - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) 27.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (46% და 23.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (76%), ყაზახეთი (16%), რუსეთი (4%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (47%);
- ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (1.0 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

თხილი - ექსპორტმა შეადგინა 4.3 მლნ. აშშ დოლარი (58%-ით და 5.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (29%), ყირგიზეთი (19%), ყაზახეთი (17%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: რუსეთი (61%-ით), უკრაინა (60%-ით), სომხეთი (88%);
- ექსპორტი გაიზარდა ყირგიზეთში (0.8 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტმა შეადგინა 3.2 მლნ. აშშ დოლარი (53%-ით და 3.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა აზერბაიჯანში.

სამრეწველო პროდუქცია

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - ექსპორტმა შეადგინა 3.4 მლნ. აშშ დოლარი (57%-ით და 4.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (57%), თურქმენეთი (40%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანიდან 65%-ით;
- ექსპორტი გაიზარდა თურქმენეთში (23%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 13%-ით შემცირდა და 270.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის იმპორტი შემცირდა 16%-ით და 846.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

თამბაქოს მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 29.3 მლნ. აშშ დოლარი (44%-ით და 23.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: უკრაინიდან (86%), ბელარუსიდან (6%);
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (46%);
- იმპორტი გაიზარდა ბელარუსიდან (7-ჯერ).

ხორბალი - იმპორტმა შეადგინა 43.9 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 8.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა: რუსეთიდან (71%), ყაზახეთიდან (29%);
- იმპორტი შემცირდა რუსეთიდან (35%);
- იმპორტი გაიზარდა ყაზახეთიდან (186%).

მცენარეული ზეთი - იმპორტმა შეადგინა 16.0 მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 2.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (85%) და უკრაინა (9%);
- იმპორტი შემცირდა როგორც უკრაინიდან (35%) ასევე რუსეთიდან (15%);

შოკოლადის მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 14.8 მლნ. აშშ დოლარი (8%-ით და 1.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (67%) და უკრაინა (26%);
- იმპორტი შემცირდა რუსეთიდან (11%);

ეთილის სპირტი - იმპორტმა შეადგინა 2.8 მლნ. აშშ დოლარი (7% და 0.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: უკრაინა (42%), რუსეთი (30%).

სამრეწველო პროდუქცია

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტმა შეადგინა 179.3 მლნ. აშშ დოლარი (25%-ით და 58.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (50%), აზერბაიჯანი (30%), თურქმენეთი (20%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: თურქმენეთი (54%), რუსეთი (5%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტმა შეადგინა 103.6 მლნ. აშშ დოლარი (30%-ით და 44.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა: სომხეთიდან (98%) და აზერბაიჯანიდან (2%).
- იმპორტი შემცირდა სომხეთიდან (15%);
- იმპორტი გაიზარდა აზერბაიჯანიდან (2%).

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - იმპორტმა შეადგინა 17.9 მლნ. აშშ დოლარი (48%-ით და 16.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: უკრაინიდან (58%), აზერბაიჯანიდან (38%).
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (63%);
- იმპორტი გაიზარდა აზერბაიჯანიდან (86%).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ხორბლის ფქვილი - იმპორტმა შეადგინა 2.4 მლნ. აშშ დოლარი (49%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა: რუსეთი (62%), ბელარუსი (28%);
- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (28%), ასევე ყაზახეთიდან წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა.

ცხოველების საკვები - იმპორტმა შეადგინა 4.7 მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა: უკრაინა (65%), რუსეთი (35%);
- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (55%), უკრაინიდან (9%).

თამბაქოს სამრეწველო შემცველები - იმპორტმა შეადგინა 5.7 მლნ. აშშ დოლარი. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა.

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: სომხეთიდან (57%), უკრაინიდან (35%).

სამრეწველო პროდუქცია

ბუნებრივი აირი - იმპორტმა შეადგინა 178.6 მლნ. აშშ დოლარი (5%-ით და 8.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა: აზერბაიჯანი (92%), რუსეთი (8%);

- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (67%), აზერბაიჯანიდან (2%).

საბეჭდი ქაღალდი - იმპორტმა შეადგინა 2.5 მლნ. აშშ დოლარი (244%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი). იმპორტის სრული მოცულობა ხორცილდება რუსეთიდან.


მინის ტევადობები - იმპორტმა შეადგინა 15.6 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და 2.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: მოლდოვა (86%), რუსეთი (42%), სომხეთი(10%);
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (20%).

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2019 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.2% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (843 მლნ. აშშ დოლარი, წილი 14.1%), მეორე ადგილზეა რუსეთი (678 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11.4%), ხოლო მე-3 აზერბაიჯანი (509 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.5%).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2019 წლის იანვარი-ივნისი ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)




საქართველოს ექსპორტი

2019 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა ექსპორტმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 73.4% დაიკავა. პირველ ადგილზეა რუსეთი 261.3 მლნ. აშშ დოლარით და


14.7%-იანი წილით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 211.3 მლნ. აშშ დოლარით და 11.9% წილით, ხოლო მესამე ადგილზეა ბულგარეთი 149.1 მლნ. აშშ დოლარით და 8.4% წილით.

საქართველოს ძირითადი საექსპორტო ბაზრები 2018-2019 წლების იანვარ-ივნისში (მლ. აშშ დოლარი)



2018 წლის წლის იანვარ-ივნისში, საექსპორტო ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 306.6 მლნ. აშშ დოლარით და 17.3%-იანი წილით, მეორე ადგილზე მსუბუქი ავტომობილები - 260.5 მლნ. აშშ დოლარი და 14.7%, ხოლო მესამე ადგილზე ფეროშენადნობები 179.2 მლნ. აშშ დოლარი და 10.1%.

10 ძირითადი საექსპორტო ჯგუფი 2019 წლის იანვარ-ივნისში



ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 318.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (11%-ით და 10.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები), ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა 1 148 მლნ. აშშ დოლარი (24%-ით და 223 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

2019/6 წელს ექსპორტის ზრდა განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ზრდის ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ღვინო - ექსპორტი 97.2 მლნ. აშშ დოლარი (10%-ით და 8.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (58.8 მლნ. აშშ დოლარი და 60%), ჩინეთი (9.2 მლნ. აშშ დოლარი და 10%), უკრაინა (9.1 მლნ. აშშ დოლარი და 9%), პოლონეთი (4.1 მლნ. აშშ დოლარი და 4%), ყაზახეთი (3.9 მლნ. აშშ დოლარი და 4%), ბელარუსი (2.2 მლნ. აშშ დოლარი და 2%), ლატვია (1.8 მლნ. აშშ დოლარი და 2%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბელარუსი (59%), რუსეთი (11%), პოლონეთი (11%), უკრაინა (8%), ჩინეთი (6%);
- ექსპორტი შემცირდა ლატვიაში (13%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 65.5 მლნ. აშშ დოლარი (21%-ით და 11.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (30.1 მლნ. აშშ დოლარი და 47%), უკრაინა (11.6 მლნ. აშშ დოლარი და 18%), ლიეტუვა (8 მლნ. აშშ დოლარი და 12%), ყაზახეთი (5.8 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ბელარუსი (4.3 მლნ. აშშ დოლარი და 7%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (25%), უკრაინა (32%), ყაზახეთი (34%);
- ექსპორტი შემცირდა: ლიეტუვაში (5%), ბელარუსში (11%).

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 13.5 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (9 მლნ. აშშ დოლარი და 42%), აზერბაიჯანი (3.4 მლნ. აშშ დოლარი და 25%), სომხეთი (1.5 მლნ. აშშ დოლარი და 11%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (37%), სომხეთი (141%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (32%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 4.9 მლნ. აშშ დოლარი (12%-ით და 0.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 24%), ყაზახეთი (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 24%), გერმანია (0.9 მლნ. აშშ დოლარი და 18%), სომხეთი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 5%), ავსტრია (0.18 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა 78 ათასი აშშ დოლარის) და ყაზახეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: სომხეთი (78%), ავსტრია (81%).

ახალი ხილი - ექსპორტი 6.1 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და 3.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (5.2 მლნ. აშშ დოლარი და 85%), სომხეთი (0.3 მლნ. აშშ დოლარი და 5%), ავღანეთი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (4-ჯერ), ავღანეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არ განხორციელებულა).

სამრეწველო პროდუქცია:

სპილენძის მადნები - ექსპორტი 306.6 მლნ. აშშ დოლარი (27%-ით და 65.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბულგარეთი (140.5 მლნ. აშშ დოლარი და 46%), რუმინეთი (105.8 მლნ. აშშ დოლარი და 35%), ჩინეთი (29.3 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ესპანეთი (15.5 მლნ. აშშ დოლარი და 5%), თურქეთი (13.7 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბულგარეთი (16%), რუმინეთი (4-ჯერ), ესპანეთი 156%;
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ჩინეთი (57%), თურქეთი 26%.

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა 105.6 მლნ. აშშ დოლარი (65%-ით და 41.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 95% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი (36.3 მლნ. აშშ დოლარი და 34%), აზერბაიჯანი (15.4 მლნ. აშშ დოლარი და 15%), უკრაინა (11.7 მლნ. აშშ დოლარი და 11%), რუსეთი (10.9 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ყირგიზეთი (10.3 მლნ. აშშ დოლარი და 10%), თურქმენეთი (5.6 მლნ. აშშ დოლარი და 5%), ბელარუსი (3.2 მლნ. აშშ დოლარი და 3%), ყაზახეთი (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 3%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: უკრაინა (7-ჯერ), ყირგიზეთი (2-ჯერ), რუსეთი (3-ჯერ), თურქმენეთი (122%), უზბეკეთი (79%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ბელარუსი (20%), ყაზახეთი (13%), აზერბაიჯანი (8%).

ორთოპედიული სამარჯვები - ექსპორტი 9.8 მლნ. აშშ დოლარი (173%-ით და 6.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 94% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა (5.6 მლნ. აშშ დოლარი და 57%), ლიეტუვა (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 12%), ჩინეთი (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 12%), თურქმენეთი (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: უკრაინასა და თურქმენეთში წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა, ლიეტუვა (7-ჯერ), ჩინეთი (32%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) შეადგინა 260.5 მლნ. აშშ დოლარი (60%-ით და 57.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი (94.2 მლნ. აშშ დოლარი და 36%), სომხეთი (63.7 მლნ. აშშ დოლარი და 24%), ა/გ ემირატები (33.2 მლნ. აშშ დოლარი და 13%), უკრაინა (32.7 მლნ. აშშ დოლარი და 13%), ყირგიზეთი (14.8 მლნ. აშშ დოლარი და 6%), რუსეთი (3.3 მლნ. აშშ დოლარი და 1%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ყირგიზეთი (წინა წელს განხორციელდა მხოლოდ 60 000 აშშ დოლარის ოდენობით), აზერბაიჯანი (36%), სომხეთი (44%), უკრაინა (22%);
- ექსპორტი შემცირდა რუსეთში (27%).

სატვირთო ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) 16.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (36%-ით და 4.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (11.2 მლნ. აშშ დოლარი და 69%) და აზერბაიჯანი (4.9 მლნ. აშშ დოლარი და 30%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (129%), სომხეთი (31%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ცოცხალი) - ექსპორტი 9.3 მლნ. აშშ დოლარი (25%-ით და 3.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა: ერაყი (6.1 მლნ. აშშ დოლარი და 65%), აზერბაიჯანი (3.2 მლნ. აშშ დოლარი და 35%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (53%);
- ექსპორტი გაიზარდა ერაყში (9%).

ცხვრის ხორცი - ექსპორტი 4.9 მლნ. აშშ დოლარი (58%-ით და 6.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა: ირანი (3.5 მლნ. აშშ დოლარი და 71%), ა/გ საამიროები (0.7 მლნ. აშშ დოლარი და 14%), ქუვეითი (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 13%);
- ექსპორტი შემცირდა ირანში (67%);
- ექსპორტი გაიზარდა: ქუვეითში (9%) და ა/გ საამიროებში (4%).

თევზის ფქვილი - ექსპორტი 6.1 მლნ. აშშ დოლარი (56%-ით და 7.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (4.0 მლნ. აშშ დოლარი და 65%), სომხეთი (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 18%), ტაივანი (1.0 მლნ. აშშ დოლარი და 16%).
- ექსპორტი შემცირდა: ვიეტნამში (1.8 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), თურქეთში (58%), ტაივანში (48%).
- ექსპორტი გაიზარდა სომხეთში (69%).

თევზის ცხიმი - 2.75 მლნ. აშშ დოლარი (75%-ით და 8.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: თურქეთი (2.13 მლნ. აშშ დოლარი და 77.6%), ჩილე (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 21.6%), აზერბაიჯანი (0.02 მლნ. აშშ დოლარი და 0.8%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: პერუ (2018/6-4.3 მლნ. აშშ დოლარი, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), თურქეთი (69%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (144%) და ჩილე (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

თხილი - ექსპორტი 15.6 მლნ. აშშ დოლარი (51%-ით და 16 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია (2,1 მლნ. აშშ დოლარი და 13%), იტალია (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 11%), ტუნისი (1.4 მლნ. აშშ დოლარი და 9%), რუსეთი (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 8%), ლიეტუვა (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 7%), ესპანეთი (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 7%), ყირგიზეთი (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: იტალია (77%), რუსეთი (61%) ლიეტუვა (17%), ესპანეთი (24%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ტუნისი (15%), გერმანია (12%), ყირგიზეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

სპირტიანი სასმელები - 51.2 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და 12.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 35% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (14 მლნ. აშშ დოლარი და 27%), უკრაინა (13.6 მლნ. აშშ დოლარი და 27%), საფრანგეთი (3.3 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ბელარუსი (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 5%), ნიდერლანდები (2.7 მლნ. აშშ დოლარი და 5%), სომხეთი (2.6 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: საფრანგეთი (75%), ნიდერლანდები (24%), უკრაინა (6%), სომხეთი (10%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (56%), ბელარუსი (39%).

თამბაქოს მზა ნაწარმი - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) 33.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (37%-ით და 19.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი (20.7 მლნ. აშშ დოლარი და 61%), ყაზახეთი (4.34 მლნ. აშშ დოლარი და 13%), სინგაპური (3.2 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ვიეტნამი (1.5 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
- ექსპორტი შემცირდა: აზერბაიჯანში (47%), ყაზახეთში (24%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: სინგაპური (27%), ვიეტნამი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

სამრეწველო პროდუქცია

ფეროშენადნობები - ექსპორტი 179.2 მლნ. აშშ დოლარი (4%-ით და 6.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (77.3 მლნ. აშშ დოლარი და 43%), აშშ (64.4 მლნ. აშშ დოლარი და 36%), თურქეთი (10 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ირანი (6 მლნ. აშშ დოლარი და 3.4%), ბრაზილია (4.6 მლნ. აშშ დოლარი და 2.5%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: თურქეთი (44%), აშშ (16%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (13%), ირანი (105%), ბრაზილია (წ.წ ექსპორტი არ განხორციელებულა).


ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 8.8 მლნ. აშშ დოლარი (75%-ით და 26 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 57% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზარებია: გაერთიანებული სამეფო (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 32%), სომხეთი (2.7 მლნ. აშშ დოლარი და 31%), აზერბაიჯანი (1.5 მლნ. აშშ დოლარი და 17%);
- ექსპორტი შემცირდა: სომხეთში (45%), 2019/6 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა-მალტა (2018/6-12.6 მლნ. აშშ დოლარით), საფრანგეთი (2018/6-9,8 მლნ. აშშ დოლარი), ა/გ ემირატები (2018/6-4.4 მლნ. აშშ დოლარით);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გაერთიანებული სამეფო (11-ჯერ), აზერბაიჯანი (98%).

იმპორტი


2019 წელს იანვარ-ივნისში, იმპორტის მიხედვით სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა იმპორტმა საქართველოს მთლიანი იმპორტის 66.3% დაიკავა. პირველ ადგილზეა თურქეთი 722.1 მლნ. აშშ დოლარით და 17.2% წილით, მეორე ადგილზეა ჩინეთი 430.7 მლნ. აშშ დოლარით და 10.3%-იანი წილით, მესამე ადგილზეა რუსეთი 416.5 მლნ. აშშ დოლარით და 9.9%-იანი წილით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2019 წლის იანვარ-ივნისის იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ. დოლარი)



2019 წლის იანვარ-ივნისში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო პოზიცია ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო 341.2 მლნ. აშშ დოლარი და იმპორტის 8.1%, მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 308.8 მლნ. აშშ დოლარით 9.1%, მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები 266.8 მლნ. აშშ დოლარი და 6.4%.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში
2019 წლის იანვარი-ივნისი



ძირითადი საიმპორტო პროდუქცია სტრუქტურულ ჭრილში

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა 464.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (13%-ით და 66.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები), ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა 3 028 მლნ. აშშ დოლარი (2%-ით და 63.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

იმპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

თამბაქოს ნაწარმი - 38.2 მლნ. აშშ დოლარი (40%-ით და 25.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: უკრაინა (25.2 მლნ. აშშ დოლარი 66%), ჩინეთი (2.4 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ჰონკონგი (2.2 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ირანი (2.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ბელარუსი (1.9 მლნ. აშშ დოლარი და 5%), რუსეთი (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: უკრაინა (46%), რუსეთი (74%), ჰონგ - კონგი (51%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: (ირანი 7-ჯერ), ჩინეთი (21%).

ხორბალი - 43.9 მლნ. აშშ დოლარი (17.5%-ით და 9.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი (31.3 მლნ. აშშ დოლარი და 71%), ყაზახეთი (12.6 მლნ. აშშ დოლარი და 29%);
- იმპორტი შემცირდა რუსეთიდან (35%).
- იმპორტი გაიზარდა ყაზახეთიდან 3-ჯერ.

მცენარეული ზეთი - 16.1 მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 0.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი (13.6 მლნ. აშშ დოლარი და 84%), უკრაინა (1.4 მლნ. აშშ დოლარი და 9%);
- იმპორტი შემცირდა: რუსეთიდან (15%), უკრაინიდან (31%).

სამრეწველო პროდუქცია

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 341.2 მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 60.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი (89.3 მლნ აშშ. დოლარი და 26%), რუმინეთი (70.6 მლნ. აშშ დოლარი და 23%), აზერბაიჯანი (53.7 მლნ. აშშ დოლარი და 16%), თურქმენეთი (35.1 მლნ. აშშ დოლარი და 10%), თურქეთი (14.1 მლნ აშშ დოლარი და 4%);
- იმპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანიდან (18%) და თურქეთიდან (4-ჯერ).

ცემენტი - იმპორტი 15.7 მლნ. აშშ დოლარი (10%-ით და 1.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). მათ შორის კლინკერი 14.6 მლნ. აშშ დოლარი - გაიზარდა 41%-ით, პორტლანდცემენტი - 1.1 მლნ აშშ დოლარი შემცირდა 84%-ით).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (10.6 მლნ. აშშ დოლარი და 68%), თურქეთი (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 18%), საბერძნეთი (1.4 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ირანი (0.9 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- იმპორტი შემცირდა თურქეთიდან 59%-ით;
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (17%), საბერძნეთი (125%), ირანი (88%).

არმატურა - 20.1 მლნ. აშშ დოლარი (45%-ით და 16.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა (10.4 მლნ. აშშ დოლარი და 52%), აზერბაიჯანი (6.9 მლნ. აშშ დოლარი და 34%), ირანი (1.6 მლნ. აშშ დოლარი და 8%), რუსეთი (0.7 მლნ. აშშ დოლარი და 3%), თურქეთი (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: რუსეთი (78%), უკრაინა (63%), თურქეთი (31%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (86%), ირანი (37%).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

მსუბუქი ავტომობილები - 308.8 მლნ. აშშ დოლარი (9,1%-ით და 25.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აშშ (137 მლნ. აშშ დოლარი და 44%), იაპონია (58.5 მლნ. აშშ დოლარი და 19%), თურქეთი (35 მლნ. აშშ დოლარი და 11%), გერმანია (23.7 მლნ. აშშ დოლარი და 8%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: თურქეთი (84%), გერმანია (18%), აშშ (1%);
- იმპორტი შემცირდა იაპონიიდან (29%).

სპილენძის მადნები - 266,9 მლნ. აშშ დოლარი (47.3%-ით და 85,5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი (101.6 მლნ. აშშ დოლარი და 38%), ჩილე (62.7 მლნ. აშშ დოლარი და 23%), პერუ (28.6 მლნ. აშშ დოლარი და 11%), ბრაზილია (28.3 მლნ. აშშ დოლარი და 11%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: ჩილე (6-ჯერ), ბრაზილია (6-ჯერ), პერუ (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა);
- იმპორტი შემცირდა სომხეთიდან (15%).